

**სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (რიგგარეშე)  
სხდომა N39**

**დღის წესრიგი:**

1. სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოში განსახორციელებელი ცვლილების შესახებ \_ სტუ-ის ზოგიერთ ფაკულტეტზე სტუდენტების შემადგენლობიდან, წარმომადგენლობითი საბჭოს შესავსებად, არჩევნების ჩატარების თაობაზე გადაწყვეტილების მიღება;
2. სტუ-ის აკადემიური საბჭოს N137 და N143 დადგენილებების დამტკიცება (პროფ. თამაზ გეგეჭკორის, პროფ. ჯემალ ლომსაძის, ინფორმატიკის ფაკ-ის ლაბორატორიის გამგის ჯუმბერ ლეჟავას, “გიორგი ნიკოლაძის” მედლით დაჯილდოების შესახებ);
3. სტუ-ის აკადემიური საბჭოს N146 დადგენილების დამტკიცება. სოციალური გრანტის მქონე სტუდენტებისათვის ფინანსური დავალიანების შესახებ;
4. სტუ-ის აკადემიური საბჭოს N147 დადგენილების დამტკიცება. სტუ-ის II კურსელი მაგისტრებისათვის საუნივერსიტეტო გრანტის მინიჭების შესახებ;
5. სტუ-ის აკადემიური საბჭოს N148 დადგენილების დამტკიცება. სტუ-ის ფაკულტეტებზე კვლუროლოგიის არჩევითი საგნის შემოღების შესახებ;
6. სტუ-ის აკადემიური საბჭოს N149 დადგენილების დამტკიცება. სტუ-ის ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის მაგისტრანტის ა. გრიგალაშვილის განცხადების შესახებ;
7. სტუ-ის აკადემიური საბჭოს N150 დადგენილების დამტკიცება. სტუ-ის ბაკალავრიატში, მაგისტრატურასა და დოქტურანტურაში სწავლის ღირებულების შესახებ;
8. მიმდინარე საკითხები.

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს  
2009 წლის 25 სექტემბრის (რიგგარეშე) სხდომის  
ოქმი №39**

წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომას, სიითი შემადგენლობის 69 წევრიდან, ესწრებოდა 44. სხდომას უძღვებოდა სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი, პროფ. ეკატერინე თევზაძე.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი (იხ. დანართი) და კენჭისყრაზე დააყენა მისი დამტკიცების საკითხი.

**წარმოდგენილ დღის წესრიგს კენჭი ეყარა ერთხმად.**

სპიკერმა მიმართა საბჭოს წევრებს, რათა აერჩიათ ხმის დამთვლელი კომისია 3 კაცის შემადგენლობით. დასახელდა საბჭოს შემდგომი წევრები: ასოც.

პროფ. თალიკო ჟვანია, პროფ. ივანე შავთვალიშვილი, სტუდენტი პაატა მაღაზონია.

**წარმოდგენილ კანდიდატურებს კენჭი ეყარა ერთხმად.**

**სპიკერი** – წარმოგიდგინო დღის წესრიგის პირველ საკითხს – სტუ-ის წარმომადგენლობით საბჭოში განსახორციელებელი ცვლილებების შესახებ – სტუ-ის ფაკულტეტებზე სტუდენტების შემადგენლობიდან, წარმომადგენლობითი საბჭოს შესავსებად საჭიროა ჩატარდეს არჩევნები, კერძოდ: არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტზე – 1 ადგილი, სამშენებლო ფაკულტეტზე – 1 ადგილი, ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტზე – 1 ადგილი, სამთო-გეოლოგიურ ფაკულტეტზე – 1 ადგილი, ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტზე – 1 ადგილი, ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტზე – 2 ადგილი, სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტზე – 1 ადგილი, ჰუმანიტარულ-სოციალურ ფაკულტეტზე – 2 ადგილი.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის პირველი საკითხი, სტუ-ის ფაკულტეტებზე სტუდენტების შემადგენლობიდან, წარმომადგენლობითი საბჭოს შესავსებად არჩევნების ჩატარების შესახებ. წარმოდგენილ საკითხს კენჭი ეყარა ერთხმად.

### საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

#### წარმომადგენლობითი საბჭოს

2009 წლის 25 სექტემბრის №39 (რიგბარეში) სხდომის

ბ ა დ ა ვ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №1

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2009 წლის 25 სექტემბრის №39 სხდომაზე, სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერის, პროფ. ეკატერინე თევზაძის მიერ წარმოდგენილ იქნა საკითხი სტუ-ის წარმომადგენლობით საბჭოში განსახორციელებელი ცვლილების დამტკიცების შესახებ – სტუ-ის ფაკულტეტებზე სტუდენტების შემადგენლობიდან, წარმომადგენლობითი საბჭოს შემადგენლობის შესავსებად, არჩევნების ჩატარების თაობაზე.

*წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით, ერთხმად დამტკიცდა სტუ-ის ფაკულტეტებზე სტუდენტების შემადგენლობიდან,*

*წარმომადგენლობითი საბჭოს შემადგენლობის შესავსებად, არჩევნების ჩატარების საკითხი.*

*კერძოდ:*

- *არქიტექტურის ფაკულტეტზე – 1 ადგილი;*
- *სამშენებლო ფაკულტეტზე – 1 ადგილი;*
- *სამთო-გეოლოგიურ ფაკულტეტზე – 1 ადგილი;*
- *ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტზე – 1 ადგილი;*
- *ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტზე – 2 ადგილი;*
- *სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტზე – 1 ადგილი;*

*პუმანიტარულ-სოციალურ ფაკულტეტზე – 2 ადგილი.*

სპიკერი – წარმომადგენელთა დღის წესრიგის მეორე საკითხს – სტუ-ის აკადემიური საბჭოს №137 და №143 დადგენილებების დამტკიცება (პროფ. თამაზ გეგეჭკორის, პროფ. ჯემალ ლომსაძის, ინფორმატიკის ფაკ-ის ლაბორატორიის გამგის ჯუმბერ ლეუაშას “გიორგი ნიკოლაძის” მედლით დაჯილდოების შესახებ) ის. დანართი 1.

საფინანსო-ეკონომიკური საკითხების შემსწავლელი კომისიის სახელით, პროფ. დავით ჯაფარიძემ მხარი დაუჭირა წარმომადგენელ კანდიდატებს, ამასთან დაამატა, რომ ბიუჯეტში გათვალისწინებული უნდა იქნეს ცვლილება, რადგან დებულებით “გიორგი ნიკოლაძის” მედლის მფლობელს სიცოცხლის ბოლომდე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან, ფულადი ჯილდოს სახით მიეცემა ყოველთვიური თანხა, პენსიაში გასვლის მომენტისათვის არსებული ხელფასის რაოდენობით. მედლის "გიორგი ნიკოლაძე" მფლობელს ემერიტუსის სტატუსის მინიჭების, შრომითი საქმიანობის დაწყების ან გაგრძელების შემთხვევაში შეუწყდება ფულადი ჯილდოს მიცემა.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის მეორე საკითხი. წარმომადგენელთა საკითხს კენჭი ეყარა ერთხმად.

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის**

**წარმომადგენლობითი საბჭოს**

**2009 წლის 25 სექტემბრის №39 (რიგბარეშე) სხდომის**

**ბ ა დ ა ვ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №2**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2009 წლის 25 სექტემბრის №39 სხდომაზე, სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს

სპიკერის, პროფ. ეკატერინე თევზაძის მიერ წარმოდგენილ იქნა საკითხი სტუ-ის აკადემიური საბჭოს № 137 და № 143 დადგენილებების დამტკიცების შესახებ, რომლებიც ეხება – პროფ. თამაზ გეგეჭკორის, პროფ. ჯემალ ლომსაძის, ინფორმატიკის ფაკ-ის ლაბორატორიის გამგის ჯუმბერ ლეჟავას “გიორგი ნიკოლაძის” მედლით დაჯილდოებას.

*წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით, ერთხმად დამტკიცდა აკადემიური საბჭოს №143 და №137 დადგენილებები, კერძოდ: “საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის, ახალგაზრდა სპეციალისტთა მომზადებაში შეტანილი წვლილისათვის პროფ. თამაზ გეგეჭკორი და პროფ. ჯემალ ლომსაძე, ასევე სახელოვანი პიროვნება, 12 გზის გინესის რეკორდსმენი, მსოფლიო მოქალაქე, სტუ-ის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის ლაბორატორიის გამგე ჯუმბერ ლეჟავა დაჯილდოვდნენ მედლით „გიორგი ნიკოლაძე“ (იხ. დანართი 1).*

სპიკერი – გადავიდეთ დღის წესრიგის მესამე საკითხზე – სტუ-ის აკადემიური საბჭოს №146 დადგენილების დამტკიცება. სოციალური გრანტის მქონე სტუდენტებისათვის ფინანსური დავალიანების შესახებ – მომხსენებელი სტუ-ის საგეგმო-საფინანსო განყოფილების უფროსი, ბ-ნ ნუკრი ქურციკიძე (იხ. დანართი 2).

ბ-ნ ნუკრი ქურციკიძე – ობოლი და მზრუნველობამოკლებული, კონფლიქტის ზონებიდან და მაღალმთიანი რეგიონებიდან, სოციალური გრანტის მქონე სტუდენტებთან დაკავშირებით, განათლების სამინისტრომ მოგვმართა თხოვნით, რომ 2008 წლის დავალიანება 4225 ლარი ამ სტუდენტებს ჩაეთვალოთ საპატიოდ. 2009 წლიდან ამ კატეგორიის სტუდენტებს ფინანსურ დავალიანებას გადაუხდის სამინისტრო. საუბარია 7 სტუდენტზე, სია თქვენ გაქვთ. ამ სტუდენტებზე თანხის ნაწილი უკვე გადმორიცხულია.

სპიკერი – გთხოვთ, კენჭი ვუყაროთ სტუ-ის აკადემიური საბჭოს №146 დადგენილებას. წარმოდგენილ საკითხს კენჭი ეყარა ერთხმად.

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის  
წარმომადგენლობითი საბჭოს  
2009 წლის 25 სექტემბრის №39 (რიზბარეშე) სხდომის  
ბ ა დ ა ვ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №3**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2009 წლის 25 სექტემბრის №39 სხდომაზე, სტუ-ის საგეგმო-საფინანსო განყოფილების უფროსის, ბ-ნი ნუკრი ქურციკიძის მიერ წარმოდგენილ იქნა საკითხი სტუ-ის აკადემიური საბჭოს №146 დადგენილების დამტკიცების შესახებ – სოციალური გრანტის მქონე სტუდენტებისათვის ფინანსური დავალიანების საპატიოდ ჩათვლის თაობაზე.

*წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით, ერთხმად დამტკიცდა აკადემიური საბჭოს №146 დადგენილება წარმოდგენილი სახით: “სოციალური გრანტის მქონე სტუდენტებს ფინანსური დავალიანება (იგულისხმება 2009 წლის 1 იანვრამდე, თანდართულ სიაში წარმოდგენილი სტუდენტებისათვის) ჩათვალოთ საპატიოდ” (იხ. დანართი 2).*

სპიკერი – გადავიდეთ დღის წესრიგის მეოთხე საკითხზე – სტუ-ის აკადემიური საბჭოს №147 დადგენილების დამტკიცება – სტუ-ის II კურსელი მაგისტრებისათვის საუნივერსიტეტო გრანტის მინიჭების შესახებ (იხ. დანართ 3). საფინანსო-ეკონომიკურმა კომისიამ განიხილა ეს საკითხი და დადებითად შეაფასა.

ამ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს და სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის მეოთხე საკითხი. წარმოდგენილ საკითხს კენჭი ეყარა ერთხმად.

## საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

### წარმომადგენლობითი საბჭოს

2009 წლის 25 სექტემბრის №39 (რიზბარეში) სხდომის

გ ა დ ა ვ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №4

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2009 წლის 25 სექტემბრის №39 სხდომაზე, სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერის, პროფ. ეკატერინე თევზაძის მიერ წარმოდგენილ იქნა საკითხი სტუ-ის აკადემიური საბჭოს №147 დადგენილების, სტუ-ის II კურსელი მაგისტრებისათვის საუნივერსიტეტო გრანტის მინიჭების დამტკიცების შესახებ.

*წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით, ერთხმად დამტკიცდა აკადემიური საბჭოს №147 დადგენილება წარმოდგენილი სახით:*

1. სტუ-ის II კურსელი მაგისტრებისათვის საუნივერსიტეტო გრანტის მინიჭება მოხდეს პირველი კურსის აკადემიური მოსწრების შედეგების რანჟირების მიხედვით 2008-2009 სასწავლო წელს ჩარიცხული

*მაგისტრების მიერ სწავლის საფასურის სახით შემონატანის 10%-ის ფარგლებში, ფაკულტეტების მიხედვით;*  
*აღნიშნულ პროცენტში მაგისტრების რაოდენობა ფაკულტეტებმა დამოუკიდებლად განსაზღვრონ (იხ. დანართი 3).*

**სპიკერი** – წარმოგიდგინო დღის წესრიგის მეხუთე საკითხს – სტუ-ის აკადემიური საბჭოს №148 დადგენილების დამტკიცება. სტუ-ის ფაკულტეტებზე კულტუროლოგიის არჩევითი საგნის შემოღების შესახებ (იხ. დანართი 4).

**პროფ. იგორ კვესელავა** – აგვისტოში ჩატარებული კონკურსის შემდეგ ბევრი დვაწლმოსილი ადამიანი დარჩა გარეთ. გვინდა მათი დასაქმება და ამიტომ შემოგვაქვს არჩევითი საგანი კულტურულია. ეს საგანი მოემსახურება მთელ უნივერსიტეტს.

**პროფ. დავით ჯაფარიძე** – რომელი საგნის ხარჯზე ხდება მისი ჩანაცვლება ან როგორი დანამატი?

**პროფ. იგორ კვესელავა** – ამაზე მიდის მუშაობა, 1500 საათი არ უნდა იყოს პრობლემა კუმანიტარულ-სოციალური ფაკულტეტისათვის.

**პროფ. ვანო ჭიაურელი** – 1999 წელს ეს წიგნი ჩვენ გავაკეთეთ, ეს არის კულტურის ფილოსოფიური ანალიზი. ამ ეტაპზე ეს საკითხი ძალიან მოუმზადებელია. ის კოლეგები, ვისზეც თქვენ საუბრობთ, კომისიის წევრები იყვნენ და ახლა მადლობის ნიშნად, მათი სამსახურში მიღება გაქვთ განზრახული? ჩვენთანაც 5 ადამიანი დარჩა გარეთ. ეს საკითხი სერიოზულ ანალიზს მოითხოვს.

**პროფ. იგორ კვესელავა** – ბატონო ვანო, თქვენი კათედრიდანაც რომ დარჩა ხალხი, იმიტომ ვამატებთ ამ საგანს, ნაწილი საათებისა თქვენთან წამოვა. მაგ., ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტზე უნდათ ტექნიკის ისტორია, მაგრამ იქნებ კულტუროლოგია ისწავლოს სტუდენტმა?

**პროფ. ჯემალ ბერიძე** – მე წინააღმდეგი ვარ. უამრავი სპეციალისტი დარჩა გარეთ და ჩვენც გვჭირდება ახალი საგნები, მაგრამ პროგრამების შეცვლას ვერ მივცემ ხმას.

**პროფ. დავით ჯაფარიძე** – ეს საკითხი ჩვენი გადასაწყვეტი არ არის და მოვხსნათ.

**პროფ. ჯემალ ბერიძე** – როდის მიხვდება ეს ხალხი, რომ ეს საჭიროა?

პროფ. ნოდარ ქაჯაია – თუ ეს ფულს ეხება, მაშინ ეს ჩვენი საკითხია, თუ არა, მაშინ არ გვეხება.

წარმოდგენილი საკითხი მოიხსნა დღის წესრიგიდან.

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის**

**წარმომადგენლობითი საბჭოს**

**2009 წლის 25 სექტემბრის №39 (რიგბარეშე) სხდომის**

**ბ ა დ ა ვ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №5**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2009 წლის 25 სექტემბრის №39 სხდომაზე, სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერის, პროფ. ეკატერინე თევზაძის მიერ წარმოდგენილ იქნა საკითხი სტუ-ის აკადემიური საბჭოს №148 დადგენილების, სტუ-ის ფაკულტეტებზე კულტუროლოგიის არჩევითი საგნის შემოღების დამტკიცების შესახებ.

*წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით, აღნიშნული საკითხი მოიხსნა განხილვიდან (იხ. დანართი 4).*

სპიკერი – წარმოდგენთ დღის წესრიგის მეექვსე საკითხს – სტუ-ის აკადემიური საბჭოს № 149 დადგენილების დამტკიცება, სტუ-ის ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის მაგისტრანტის ა. გრიგალაშვილის განცხადების შესახებ (იხ. დანართი 5).

პროფ. დავით ჯაფარიძე – მაგისტრანტი ა. გრიგალაშვილი ხასიათდება კარგად. როგორც დეკანმა მოგვახსენა, მისთვის ჯგუფი არ იქმნება, ის დაესწრება საგნებს I კურსის მაგისტრანტებთან ერთად. ვეთანხმებით ამ სტუდენტის გათავისუფლებას 34 კრედიტის შექმნისაგან, მაგრამ ამან არ უნდა მიიღოს მასიური ხასიათი.

სპიკერი – გთხოვთ, კენჭი ვუყაროთ სტუ-ის აკადემიური საბჭოს №149 დადგენილებას. წარმოდგენილ საკითხს კენჭი ეყარა ერთხმად.

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის**

**წარმომადგენლობითი საბჭოს**

**2009 წლის 25 სექტემბრის №39 (რიგბარეშე) სხდომის**

**ბ ა დ ა ვ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №6**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2009 წლის 25 სექტემბრის №39 სხდომაზე, სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერის, პროფ. ეკატერინე თევზაძის მიერ წარმოდგენილ იქნა საკითხი სტუ-ის აკადემიური საბჭოს №149 დადგენილების, სტუ-ის ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის მაგისტრანტის ა. გრიგალაშვილის განცხადების, დამტკიცების შესახებ.

*წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით, ერთხმად დამტკიცდა აკადემიური საბჭოს №149 დადგენილება წარმოდგენილი სახით: “ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის მაგისტრანტი ა. გრიგალაშვილი გათავისუფლდეს ფაკულტეტის ხარჯზე, პირველი კურსის დავალიანების 34 კრედიტის შეძენისაგან” (იხ. დანართი 5).*

სპიკერი – გადავიდეთ დღის წესრიგის მეშვიდე საკითხზე – სტუ-ის აკადემიური საბჭოს № 150 დადგენილების დამტკიცება, სტუ-ის ბაკალავრიატში, მაგისტრატურასა და დოქტორანტურაში სწავლის ღირებულების შესახებ (იხ. დანართი 6).

ბევლი, 2007 წლის აკადემიური საბჭოს დადგენილებაში ეწერა, რომ მაგისტრატურაში სწავლის ღირებულება იქნება 50%-ით მეტი, ვიდრე ბაკალავრიატში, ხოლო დოქტორანტურაში სწავლის ღირებულება გაუტოლდება ბაკალავრიატში სწავლის ღირებულებას.

აკადემიურმა საბჭომ გადახედა ადრე მიღებულ დადგენილებას და დაადგინა: დოქტორანტურაში სწავლის ღირებულება გაუთანაბრდეს ბაკალავრიატში სწავლის ღირებულებას, ხოლო მაგისტრატურაში სწავლის ღირებულება ერთი წლის განმავლობაში დარჩეს იმ რაოდენობის, რაც ამჟამადაა დადგენილი ფაკულტეტების მიხედვით. ამავე დროს დოქტორანტურიდან შემოსული თანხის 5% (ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის და სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტებისათვის 10%) მოხმარდეს დოქტორანტურაში სწავლების გრანტების დაფინანსებას.

**პროფ. მზია მილაშვილი** – ეს მართო ამ ორ ფაკულტეტს ეხება?

**პროფ. ვანო ჭიაურელი** – უხერხულ სიტუაციაში ჩავვარდით. სამი ადამიანი იყო ჩვენთან, თებერვალში ჩააბარეს, 1500 ლარი იცოდნენ. მათ დავაკარგვინეთ 7 თვე და ახლა კი უნდა ვუთხრათ, რომ ფასი გაიზარდა.

**პროფ. აგული სოსაძე** – ჩვენ დოქტორანტები მოვხიბლეთ, რომ გადასახდელი იყო 1000 ლარი, ახლა რომ ვუთხრათ 2000 ლარი, არ შეიძლება.



პირველი შესატანი დოქტორანტს შევატანინოთ, რაც არის შესატანი და მეორე შესატანში გავუკეთოთ შეღავათი.

**პროფ. დავით ჯაფარიძე** – საკითხი ძალიან საკამათოა. თანაბრდება დოქტორის და ბაკალავრის გადასახადი. მიმაჩნია, რომ პრობლემა სწორად არის დასმული, მაგრამ დაცვა სჭირდება იმ დოქტორანტებს, ვისაც ეკონომიურად უჭირს და 5% შემოსავლიდან აძლევენ გრანტს (ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის და სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტები 10%). აქ უნდა ვისაუბროთ, რომ 1500 ლარზე ზემოთ როგორ შეგუვსოთ შემოსავალი. სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს საფინანსო და ეკონომიკური საკითხების შემსწავლელი მუდმივმოქმედი კომისიის მოსაზრება გაიყო, მაგრამ საკითხი გავიდა, რომ ყველა ფაკულტეტზე გაეზარდოთ გრანტი 10%-ის რაოდენობით.

**სპიკერი** – მე ვესწრებოდი აკადემიურ საბჭოს, როდესაც ეს გადაწყვეტილება იქნა მიღებული, გუშინაც ამ საკითხზე ვესაუბრე რექტორს და ვიცი მისი მოსაზრება, რომ გრანტის პროცენტის გაზრდას ვერ გაუძლებს ჩვენი ბიუჯეტი და, რომ დოქტორანტურა ისედაც დოტაციურია, რადგან ერთ დოქტორანტზე სამი წლის განმავლობაში ფაქტიურად იხარჯება 9000 ლარი. ჩვენ აკადემიური საბჭოს დადგენილების შეცვლა არ შეგვიძლია.

**პროფ. ნაომ ბოჭორიშვილი** – იქნებ ყველას მივცეთ 10%, რომ მომავალი თაობის მიმართ მართლები ვიყოთ.

**პროფ დავით ჯაფარიძე** – ვაყენებ ალტერნატიულ წინადადებას – მიემართოთ აკადემიურ საბჭოს, რათა ნაწილობრივ შეიცვალოს №150 დადგენილების მეორე პუნქტი, ცვლილებით 10% ფარგლებში ყველა ფაკულტეტისათვის.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა საფინანსო-ეკონომიკური საკითხების შემსწავლელი მუდმივმოქმედი კომისიის ალტერნატიული წინადადება აკადემიური საბჭოს №150 დადგენილების პირველი პუნქტის დამტკიცების შესახებ წარმოდგენილი ცვლილების გათვალისწინებით. საკითხს კენჭი ეყარა ერთხმად.

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის  
წარმომადგენლობითი საბჭოს**

2009 წლის 25 სექტემბრის №39 (რიზბარეში) სხდომის

ბ ა დ ა ვ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №7

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2009 წლის 25 სექტემბრის №39 სხდომაზე, სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერის, პროფ. ეკატერინე თევზაძის მიერ წარმოდგენილ იქნა საკითხი სტუ-ის აკადემიური საბჭოს №150 დადგენილება – სტუ-ის ბაკალავრიატში, მაგისტრატურასა და დოქტორანტურაში სწავლის ღირებულების დამტკიცების შესახებ.

წარმომადგენლობითმა საბჭომ ერთხმად დაამტკიცა აკადემიური საბჭოს №150 დადგენილების პირველი პუნქტი წარმოდგენილი სახით:

1. შეტანილ იქნეს ნაწილობრივი ცვლილება სტუ-ის აკადემიური საბჭოს 03.10.07 წლის № 21 ოქმის დღის წესრიგის მესამე საკითხის დადგენილებაში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: მაგისტრატურაში სწავლის ღირებულება ერთი წლის განმავლობაში დარჩეს იმ რაოდენობით, რაც დადგენილია ფაკულტეტის მიხედვით:

– სამშენებლო	- 2000
– ენერგეტიკა და ტელეკომუნიკაცია	- 2250
– სამთო-გეოლოგია	- 2000
– ქიმიური ტექნ. და მეტალურგია	- 2000
– სატრანსპორტო და მანქანათმშენ.	- 2250
– არქიტექტურა	- 2000
– ჰუმანიტარულ-სოციალური	- 2250
– ინფორმატიკა და მართვის სისტ.	- 2250

დოქტორანტურაში სწავლის ღირებულება გაუთანაბრდეს ბაკალავრიატში სწავლის ღირებულებას.

2. დადგენილების მეორე პუნქტი – “თითოეულ ფაკულტეტზე დოქტორანტურიდან შემოსული თანხის 5% (ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის და სამთო-გეოლოგიის ფაკულტეტებისათვის 10%) მოხმარდეს დოქტორანტურაში სწავლების გრანტების დაფინანსებას, რომლის განაწილება მოხდება ფაკულტეტების მიხედვით.” აკადემიური საბჭოს დადგენილების მეორე პუნქტი წარმოდგენილი სახით არ დამტკიცდა.

3. წარმომადგენლობითმა საბჭომ დაამტკიცა საფინანსო-ეკონომიკური საკითხების შემსწავლელი კომისიის ალტერნატიული წინადადება – “ეთხოვოს აკადემიურ საბჭოს, რათა დადგენილების მეორე პუნქტი ნაწილობრივ შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით – თითოეულ ფაკულტეტზე დოქტორანტურიდან შემოსული თანხის საგრანტო წილი გათანაბრდეს და განისაზღვროს 10%-ის რაოდენობით” (იხ. დანართი 6).

სპიკერმა, პროფ. ეკატერინე თევზაძემ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებს აუწყა, რომ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა, საბჭოს წევრებს მაღლობა გადაუხადა სხდომაში მონაწილეობისთვის და სხდომა დახურულად გამოაცხადა.

წარმომადგენლობითი საბჭოს

სპიკერი, პროფესორი

/ეკატერინე თევზაძე/

სხდომის მდივანი,

ასოცირებული პროფესორი

/ვინა გურეშიძე/